

ქუთაისის უნივერსიტეტი

ია თეთრუაშვილი

**„ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო და
მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები
საქართველოში“**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სპეციალობა - 0701 ეკონომიკა

ქუთაისი
2014

ნაშრომი შესრულდა ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადო-
ებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,
პროფესორი **ნიკოლოზ ჩიხლაძე**

ოფიციალური შემფასებლები: ეკონომიკის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი **ციური დურული**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
რევაზ მანგელიძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის 26 ივნისს 12 საათზე

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს მიერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.
მისამართი: 4600. ქუთაისი, წერეთლის ქ. №13, საკონფერენციო
დარბაზი (I სართული).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ქუთაისის
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მისამართზე: 4600. ქუთაისი,
წერეთლის ქ. №13.

ავტორეფერატი დაიგზავნა “_____” _____ ივნისი
(თარიღი)

სადისერტაციო საბჭოს
მდივანი _____ /
პროფ. ნ. კუტივაძე/
(ხელმოწერა)

სადისერტაციო თემის აქტუალობა. კაცობრიობის ისტორია გვარწმუნებს, რომ საზოგადოების არსებობა შეუძლებელია მატერიალური წარმოების, კეთების, შექმნის, აღმშენებლობის, პროგრესის გარეშე. პირდაპირი გაგებით „კეთება“, „შექმნა“ და „წარმოება“ იდენტური ცნებებია, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესთან. ამდენად, ნებისმიერი სახის საქმიანობაც ბიზნესს უკავშირდება.

ბუნებრივია, ბიზნესის განვითარება ვერ შედგება სათანადო ბიზნეს-გარემოს ფორმირების გარეშე. ბიზნესის გარემოში იგულისხმება სხვადასხვა ხასიათის პირობათა (ფაქტორთა) ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარების მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე. ნებისმიერი პროფილის სამეწარმეო სუბიექტს უწევს მუშაობა განსაზღვრულ გარემოში.

ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფო მნიშვნელობის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა საკითხების განხილვა-გადაწყვეტა მოითხოვს ყველა თავისებურებების გათვალისწინებას, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ბიზნესის გარემო ფაქტორების მოქმედების ხარისხს და ბიზნესის განვითარების დონეს.

მართალია, ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონიეს მეწარმეობის, ზოგადად ბიზნესის განვითარებაზე, მაგრამ ქვეყანაში სათანადო დონეზე ვერ ჩამოყალიბდა ბიზნესის მხარდაჭერისა და სტიმულირების სისტემა. ბოლო ათწლეულში სახელმწიფო ძალიან ფრთხილ და ზოგჯერ არამართლზომიერ ნაბიჯებს დგამდა ბიზნეს-სექტორის სტიმულირებისათვის.

მიგვაჩნია, რომ ძირითადად ჩვენი ეკონომიკა სამომხმარებლო ღონისძიებებზეა ორიენტირებული და არ მოიცავს მეწარმეობლ-

რი ეკონომიკის ელემენტებს. შესაბამისად, ქვეყანაში სრულყოფილად ვერ გამოიყენება ბიზნეს სექტორის პოტენციალი.

საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექსპერტებისა და ქართველი მეაწრმეების პოზიცია საერთოა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ზოგადად, ბიზნესის კეთება საქართველოში შედარებით გამარტივებულია. თუმცა დღემდე უამრავი პრობლემა არსებობს, რაც მოგვარებას საჭიროებს.

ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნეს სექტორის წარმატებულ ფუნქციონირებას, მის განვითარებას, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, მოსახლეობისა და კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში. აჟამად საქართველოს ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია 23,1 მლრდ. ლარს აღწევს რაც ქვეყნის მშპ-ის 88,5%-ია. ბიზნეს სექტორში 534,4 ათასი კაცია დასაქმებული.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საბაზრო ურთი-ერთობების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ბიზნესის განვითარების და მასზე მოქმედი მაკროეკონომიკური გარემოს შესწავლას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას. სწორედ ამან განსაზღვრა თემის არჩევანი და პრობლემის აქტუალურობა.

კვლევის მიზანი, ძირითადი ამოცანები, საგანი და ობიექტი. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში ბიზნეს სექტორის და მასზე მოქმედი მაკროგარემოს ფუნდამენტური ანალიზი, ამ სექტორის ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება.

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ფორმული-

რებულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- ბიზნეს-სექტორის მნიშვნელობის შეფასება;
- მასტიმულირებელი ბიზნესგარემოს ფორმირების საზღვარ-გარეთული გამოცდილების დეტალური შესწავლა, ანალიზი და შედარება საქართველოს რეალობასთან;
- საქართველოში ბიზნესის განვითარების ინდექსების გამოთ-ვლა და ბიზნესის განვითარების ეტაპების დადგენა;
- თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ ბიზნესის მხარდაჭერის მეთოდების განსაზღვრა;
- საქართველოს რეგიონების ბიზნეს აქტივობის გამოკვლევა და შეფასება;
- ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების ხელ-შეწყობისათვის საჭირო ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და წარმოდგენა.

კვლევის საგანია ბიზნესის ფუნქციონირებისა და რეგულირე-ბის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები, მათი განვითარების კანონზომიერებები და ხელშეწყობის პრობ-ლემები საქართველოში.

კვლევის ობიექტია ბიზნეს სექტორი და მისი მაკრო-ეკონომი-კური გარემო, ბიზნეს-სექტორის მდგომარეობისა და უმთავრესი ასპექტების შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავე-ბა.

ნაშრომის მთავარი შედეგები და სამეცნიერო სიახლე. საკვა-ლიფიკაციო ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე მოიცავს იმ მიდგომების შემუშავებას, რომელიც ეყრდნობა რა სამეცნიერო-მეთოდურ საფუძვლებს, ხელს უწყობს ბიზნესის მაკროეკონომი-კური გარემოს თავისებურებათა გამოვლენას, რაც მისი ფუნქციო-ნირების ეფექტიანობის ამაღლების საწინდარია. გამოკვლეულია და შეფასებულია საქართველოს რეგიონების ბიზნეს აქტივობა შერჩეული სათანადო მაჩვენებლების გამოყენებით. ანალიზის სა-ფუძველზე გამოთვლილია საქართველოში ბიზნესის განვითარე-

ბის ინდექსები და დადგენილია ბიზნესის განვითარების ეტაპები. შემოთავაზებულია ღონისძიებათა სისტემა ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის. სამეცნიერო წვლილის ელემენტები ასახულია ჩატარებული კვლევების შედეგებში და გამოტანილია დასაცავად.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა და რეალიზაცია. წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანის გადასაწყვეტად, რაც ზოგადად საქართველოში ბიზნესის განვითარებას გულისხმობს. კერძოდ:

ა) საქართველოში ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს შეფასებისათვის, პრობლემათა უკეთ გააზრებისათვის, რაც პოზიტიურად იმოქმედებს ამ სფეროს ფუნქციონირებაზე;

ბ) ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის (ბიზნესის სამართლებრივ რეგულაციებთან დაკავშირებული საკითხების ფორმირების პროცესში);

გ) ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს მართებული შეფასება შეუძლებელია ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენის გარეშე. ამისათვის განხორციელდა და შემოთავაზებულია ბიზნესის ფუნქციონირების კომპლექსური შეფასება.

დ) შეფასებულია საქართველოს რეგიონების ბიზნეს-აქტივობა წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლებით, რაც ხელს შეუწყობს მმართველობითი რგოლების მიერ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას;

ე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი კურსების სწავლებისას, როგორიცაა „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“, „მეწარმეობა“, „მაკროეკონომიკური პოლიტიკა“.

კვლევის მასალები და მეთოდოლოგიური მიდგომები გამოიყენება ქუთაისის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სპეციალური დისციპლინა „მაკროეკონომიკური პოლიტიკა“).

დასაცავად გამოტანილი დებულებები. დასაცავად გამოტანილია კვლევის შედეგები, რომლებიც მოიცავს მეცნიერული სიახლეების ელემენტებს:

1. გამოკვლეულია მასტიმულირებელი ბიზნესგარემოს ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილება და შედარებულია საქართველოს რეალობასთან;

2. შემოთავაზებულია თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ ბიზნესის მხარდაჭერის 2 მეთოდი (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მცირე ბიზნესის განვითარებისათვის სესხებზე ბანკების წინაშე თავდებობის წესი და/ან მცირე ბიზნესის განვითარებისათვის რიგი მუნიციპალური დაქვემდებარების ობიექტების პროგრამების საფუძველზე შეღავათიანი პირობები), რაც ხელს შეუწყობს თვითმმართველ ერთეულებში ბიზნესის განვითარებას.

3. გამოკვლეულია და შეფასებულია საქართველოს რეგიონების ბიზნეს აქტივობა შერჩეული 6 მაჩვენებლით. ეს საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ერთმანეთს ცალკეული რეგიონები, დავაკვირდეთ ბიზნეს-სექტორში მიმდინარე პროცესებს ნებისმიერ დროით ინტერვალში, მოვახდინოთ დროული დიაგნოსტიკა და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

4. რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გამოთვლილია საქართველოში ბიზნესის განვითარების ინდექსები და დადგენილია ბიზნესის განვითარების ეტაპები;

5. შემოშავებულია და შემოთავაზებულია ღონისძიებათა სისტემა ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების ხელშეუწყობისათვის.

ავტორის წვლილი. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს პრობლემატიკა მრავალმხრივ არის შესწავლილი ქართველი (ი. მესხია, ნ. ჭითანავა, თ. შენგელია, რ. ასათიანი, ვ. პაპავა, გ. პაპავა,

ნ. ხადური, ს. ფეტელავა, ი. არჩვაძე, ლ. ელიავა, ე. მექვაბიშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ნ. ორჯონიკიძე, გ. შუბლაძე, დ. ნარმანია, რ. ოთინაშვილი, გ. ღავთაძე, ც. დურული, ვლ. ღლონტი, ნ. ჩიხლაძე და სხვ.) და უცხოელი (პ. კრუგმანი, მ. პორტერი, მ. ენგენშლაკი, ჯ. სტიგლიცი, შ. იუსუფი, მ. ფრიდმანი, ს. ბრიუ, კ. მაკკონელი, რ. ხიზრიჩი, ფ. ხაიეკი, ი. შუმპეტერი, მ. პიტერსი, ს. მაკოვკინა, ნ. სილაევი და სხვ.) მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი მკვლევარების მიერ. თუმცა, ბევრ შრომაში ბიზნესის მაკროგარემოს რეგულირების საკითხები ვიწრო სპექტრით არის განხილული.

ავტორის ძირითადი წვლილი მდგომარეობს ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს პრობლემათა გამოწვევლილვით შესწავლაში და ღრმა ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. ამასთან, ნაშრომში რეალურად და ობიექტურად იკვეთება „ვარდების რევოლუციის“ და „პოსტვარდების“ პერიოდის ბიზნესის მაკროგარემოს პრობლემატიკა. კვლევის პროცესში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, სინთეზის, გრაფიკული და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, აბსტრაქტულ-ლოგიკური, შედარებითი და ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები. აღნიშნული მეთოდების კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელი გახდა წარმოჩენილიყო ბიზნესის ფუნქციონირებისა და განვითარების მრავალმხრივი სურათი, რაც ამ სექტორის მხარდაჭერისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა სპექტრის შემუშავების ერთგვარ წინაპირობად იქცა.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები. წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი დებულებები, წინადადებები და რეკომენდაციები გამოქვეყნებულია რეფერირებად ჟურნალებში. რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეწოდა და განხილულ იქნა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და ბიზნესფორუმებზე.

ნაშრომის ძირითადი აპრობაცია (წინასწარი დაცვა) შედგა ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულ-

ტეტის ეკონომიკისა დეპარტამენტის სხდომაზე (სხდომის ოქმი №4, 6.06.2014 წელი), სადაც იგი მოწონებულ და რეკომენდირებულ იქნა საჯარო დაცვისათვის.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაცია მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 175 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, 7 პარაგრაფის, დასკვნების და ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომის სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

შესავალი

თავი 1. ბიზნესი ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში

ბიზნესსაქმიანობა, როგორც საზოგადოების განვითარების უმთავრესი პირობა;

მასტიმულირებელი ბიზნესგარემოს ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილება

თავი 2. გლობალიზაციის გავლენა ბიზნესგარემოზე და საკანონმდებლო

რეგულირების ძირითადი ასპექტები

გლობალიზაციის გავლენა ბიზნესის მაკროეკონომიკურ გარემოზე;

ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთქმედება ანტიმონოპოლიური რეგულირების კონტექსტში;

ბიზნესის მაკროგარემოს განმსაზღვრელი რეგულაციები და სავაჭრო რეჟიმები

თავი 3. საქართველოში ბიზნესის მაკროგარემოს

სრულყოფის მიმართულებები

3.1. საქართველოში ბიზნესის განვითარების უახლოესი წარსულის ტენდენციები და თანამედროვე მდგომარეობა;

საქართველოში ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები და პროგნოზები;

დასკვნები;

გამოყენებული ლიტერატურა.

დისერტაციის მოკლე შინაარსი. სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში „ბიზნესი ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში“ განხილულია ბიზნესსაქმიანობა, როგორც საზოგადოების განვითარების უმთავრესი პირობა. გამოკვლეულია სხვადასხვა მეცნიერთა და ეკონომიკურ სკოლათა შეხედულებები ბიზნესსაქმიანობის როლთან და მნიშვნელობასთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ პირდაპირი გაგებით „კეთება“, „შექმნა“ და „ბიზნესი“ იდენტური ცნებებია, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესთან. ნებისმიერი სახის საქმიანობაც ბიზნესს უკავშირდება. ყველაზე ზოგადი ფორმით ბიზნესსაქმიანობა ნიშნავს იმ ნებისმიერი სახეობის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც იძლევა მოგებას.

ბიზნესი არის საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე განხორციელებული ინიციატივანი, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა, დაწყებული რისკისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომლის მთავარი მიზანია მოგების მიღება, საკუთარი საქმიანობის განვითარება, აგრეთვე საქონლის გასაღება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა. მეწარმეობის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, არის: 1) დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა; 2) საწარმოები, ფირმა ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად ღებულობენ მოგებას.

მეწარმე, ბიზნესმენი - საკვანძო ფიგურაა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში. შრომა, კაპიტალი, მეცნიერული ცოდნა და წარმოების სხვა ფაქტორები მანამ არ მოქმედებენ, სანამ მათ არ შეეხება ბიზნესმენის ტალანტი. კონკრეტული ბაზრის პირობებში საკუთარი სარგებლობისათვის მომუშავე მეწარმეს იმავდროულად მაქსიმალური სარგებლობა მოაქვს მთელი საზოგადოებისათვის.

ბიზნესის ჩამოყალიბების პროცესი, მეწარმის, როგორც ბიზნესის ძირითადი ფიგურის ფორმირება, დაკავშირებულია კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებასთან. არსებობს მეცნიერული თვალსაზრისი, რომლის შესაბამისად, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება მოიცავს ფეოდალური საზოგადოების დაშლის შემდგომ პერიოდს, თუმცა სინამდვილეში მისი ნიშნები უფრო ადრეულ ეპოქაში გვხვდება.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქას (XVIII ს.) განეკუთვნება ბიზნესისა და სამეწარმეო საქმიანობის მეცნიერული კვლევა და ანალიზი. მეწარმის ცნება სამეცნიერო მიმოქცევაში ფრანგმა ეკონომისტმა რიჩარდ კანტილიონმა შემოიტანა ნაშრომში “ნარკვევი ზოგადად ვაჭრობის ბუნების შესახებ» (1755 წ.). სწორედ მას მიაკუთვნებენ მეწარმეობის ერთ-ერთი პირველი კონცეფციის შემოტანას ეკონომიკურ მეცნიერებაში. კანტილიონის შეხედულებები მერკანტილიზმის, ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის თეორიის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია.

მეწარმეობის და შრომის დანაწილების პრობლემები სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ცნობილ შოტლანდიელ ეკონომისტს და მოაზროვნეს ადამ სმიტს. მისი მეთოდოლოგიის საფუძველია ლიბერალიზმის კონცეფცია, რომელიც გადმოიცა ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776). ეს იყო ფაქტობრივად თავისუფალი მეწარმეობის კაპიტალიზმის კონცეფცია. ასეთ სისტემაში რესურსებზე კერძო საკუთრება არსებობს, ხოლო განაწილების მექანიზმი არის საბაზრო. ამ სისტემაში სამეურნეო ცხოვრების თითოეული მონაწილის მოტივაციას პირადი, კერძო, ეგოისტური ინტერესები განაპირობებს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ფიქსირდება მცდელობები გარკვეულ იურიდიულ ნორმებში ჩამოყალიბებულიყო ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა. სწორედ ამ მიზნით, დიდი ადგილი ეთმობა ამ პერიოდში შეგროვილ ქართულ ადათობრივ სამართალში ვაჭრული გარიგებების, ამხანაგობების, თამასუ-

ქების და სხვა შესაბამისი საკითხების იურიდიულ მხარეებს. ამ პერიოდში ვაჭრობის გაიოლების მიზნით თბილისში არსდება ზარაფხანა (1804 წ.), სადაც 1935 წლამდე რუსეთის ამიერკავკასიისათვის იჭრებოდა ქართული სისტემის ფული. იყო აგრეთვე მცდელობები სახელმწიფო ნატურალური ბეგარა-გამოსაღებთა კომუტაციისა -ფულზე გადაყვანისა და ა.შ.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საბაჟო სისტემა უფრო მოწესრიგებული ხდება. მანამდე ფაქტობრივად სათავადოებსა და საფეოდალოებში ეწყობოდა საბაჟოები, რაც ხელს უშლიდა მეწარმეობის განვითარებას. XIX საუკუნამდე საბაჟოები იჯარით გაიცემოდა სახელმწიფოს (მეფის) მიერ. ამ პერიოდისათვის ფაქტობრივად განხორციელდა საბაჟო რეფორმა და საბაჟოები საზღვრებზე და-არსდა, საგარეო ვაჭრობისათვის. 1808 წელს გამოიცა კანონი, სა-დაც აღნუსხულია „ის საქონელი და ნივთები“, რომლებიც საქარ-თველოში იბეგრებიან ბაჟებით.

მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარება 1917-1921 წლებში და-კავშირებული იყო იმ საერთო მოვლენებთან, რომლებიც ისტორი-აში შევიდა სოციალისტური რევოლუციის სახით. 1921 წლიდან ბიზნესი საქართველოში დაექვემდებარა ბოლშევიკურ იდეოლო-გიას და რადგანაც მარქსიზმი ბიზნესს ადამიანების ესპლუატაცი-ის წყაროდ მიიჩნევდა, 1921 წლიდან საქართველოში დაიწყო მი-სი შეფერხების (უპირატესად მსხვილ ბიზნესმენტთა რეპრესიების გზით), ხოლო შემდგომ გაუქმების პროცესი.

ბუნებრივია, ბიზნესის განვითარება ვერ შედგება სათანადო ბიზნეს-გარემოს ფორმირების გარეშე. ბიზნესის გარემოში იგუ-ლისხმება სხვადასხვა ხასიათის პირობათა (ფაქტორთა) ერთობ-ლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარების მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე. ამავე თავში განხილულია მასტიმულირებელი ბიზნესგარემოს ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილება, დახასიათებულია ცალკე-ულ ქვეყნებში არსებული ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო,

მ.შ. სპეციალური საგადასახადო რეჟიმები და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. დადგენილია, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკათა სტრუქტურას და ეფექტიანობას განაპირობებს ბიზნესის პროფესიული დონე და სოციალური აქტივობა, მისი უნარი, განავითაროს ეკონომიკის ინოვაციური სექტორი.

აღნიშნულია, რომ ქვეყანაში სათანადო დონეზე ვერ ჩამოყალიბდა ბიზნესის მხარდაჭერისა და სტიმულირების სისტემა. ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ძალიან ფრთხილ და ზოგჯერ არამართლზომიერ ნაბიჯებს დგამდა ბიზნეს-სექტორის სტიმულირებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი **“გლობალიზაციის გავლენა ბიზნესგარემოზე და საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი ასპექტები”** განიხილავს გლობალიზაციის გავლენას ბიზნესის მაკროეკონომიკურ გარემოზე, ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთქმედება ანტიმონოპოლიური რეგულირების კონტექსტში, ასევე საქართველოსში ბიზნესის მაკროგარემოს განმსაზღვრელ რეგულაციებს და სავაჭრო რეჟიმებს.

აღნიშნულია, რომ ცალკეული ქვეყნების ურთიერთობაში ჯერ კიდევ ძლიერია ტრადიციებისა და ათასწლეულებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ძალა და როგორც ირკვევა, კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს წამყვან პოზიციებს. რეალურ ვითარებაში გლობალიზაცია ძირითადად ეკონომიკური ინტერესების დაახლოებით ხასიათდება. ამავე დროს ცალკეულ რეგიონებში ინტეგრაციის განვითარება ვერ მიმდინარეობს ისე ჰარმონიულად, როგორც ეს ევროპაში ხდება. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში არსებითად გაძლიერდა ეროვნულ მეურნეობათა კარგახსნილობის ტენდენცია და მათი ჩაბმა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში, უფრო გამჭვირვალე გახდა ეკონომიკური საზღვრები.

ძირითადად თავს იჩენს ორი პრობლემა:

1. უცხოური წარმოშობის რყევები. სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ საქართველოს ეკონომიკაზე. ეროვნული ეკონომიკები არ არიან დაზღვეული ერთობლივი მოთხოვნის საერთაშორისო რყევებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნის მშპ-ის შეცვლა და ქვეყანაში გატარებული ფისკალური პოლიტიკის გაუფასურება.

2. წმინდა ექსპორტის ეფექტის შემთხვევა, როცა სტიმულირებადი ფისკალური პოლიტიკა იწვევს საპროცენტო განაკვეთის, შიგა მოთხოვნის და ვალუტის ფასის ცვლილებას მათგან გამომდინარე ცვლილებებით.

პირველივე პარაგრაფში გამოტანილია დასკვნა იმის შესახებ, რომ გლობალიზაცია და ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკათა „ღია ეკონომიკებად“ ქცევა ხელს უშლის დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვას. ამიტომ, ინტენსიური საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე იზრდება ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა, რაც განპირობებულია ქვეყნის განვითარებაზე გლობალიზაციის ეფექტებით. სწორად ფორმირებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა საშინაო და საგარეო მიზნების მიღწევას უწყობს ხელს.

ამავე თავში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური თავისუფლება, პირველ ყოვლისა, თავისუფალ მეწარმეობასთან ასოცირდება. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ მეწარმეობის ფორმების შერჩევა სახელმწიფოს მიერ კი არ უნდა იყოს დეტერმინირებული, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობის საფუძველზე. კანონი უნდა იცავდეს მეწარმეობას და ხელს უწყობდეს მის განვითარებას.

ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიზნეს-გარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის არსებობას. შესაბამისად, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შემადგენელი ნაწილია, რომლის მთავარი და-

ნიშნულებაა ერთი მხრივ, უზრუნველყოს მაღალი ეფექტიანობის მექანე მსხვილმაშტაბიანი ეკონომიკური უპირატესობების გამოყენება და მეორე მხრივ, განახორციელოს კონკურენციის განვითარების მიზნით, ამ ეკონომიკის შესაძლო ნეგატიური შედეგების განეიტრალება.

რეფორმის პირველ წლებში, საქართველოს პრაქტიკულად არ ქონდა ბაზრის რეგულირების გამოცდილება, რაც ისტორიული ფაქტორით იყო გამოწვეული. ქვეყანას, რეალურად პირველად მის ისტორიაში, გაუჩნდა ეკონომიკის რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორიცაა ეროვნული ვალუტა, საგადასახადო სისტემა; გაჩნდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, პარალელურად შეიქმნა მარეგულირებელი კომისიები. ქვეყანაში შეიქმნა ნებართვების სისტემა, ლიბერალური გახდა საგარეო ვაჭრობა, მინიმუმამდე შემცირდა რეგულირებადი ფასების რაოდენობა. რეალურად, სახელმწიფო სხვადასხვა ფორმით არეგულირებდა მხოლოდ ე.წ. „ბუნებრივი მონოპოლიების“ ფასებს.

2004 წლიდან საქართველოში რიგი მარეგულირებელი ორგანოები და სტრუქტურები გაუქმდა. მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ლიცენზირებას მოითხოვდა. კერძოდ, ასეთი საქმიანობების 900 დასახელებიდან დარჩა მხოლოდ 114. გაუქმდა ზომისა და წონის კონტროლი, ვეტერინარული საქმიანობის ლიცენზია და ნებართვა, პესტიციდების წარმოების და ვაჭრობის ლიცენზია, წინასარეისო სამედიცინო შემოწმება და ა.შ. პრაქტიკულად, დერეგულირდა ფარმაცევტული პროდუქციით საბითუმო ვაჭრობა. გაუქმდა საავიაციო გადაზიდვებში პროტექციონისტული ნორმა, რომელიც ქართული და უცხოური კომპანიების პარიტეტს ითვალისწინებდა. თუ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების ანალიზს ჩავატარებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ აღნიშნული ცვლილებების მიზანი ეკონომიკის სრული დერეგულირება გახდა.

თანამედროვე ეტაპზე უმთავრესი ამოცანა სწორედ კონკურენ-

ციის ჩარჩო კანონის სრულყოფაა. არსებული ხელისუფლებაც ამის მზაობას არაერთხელ აფიქსირებს, თუმცა სასურველია ქვეყნის საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა სრულყოფილებით ხასიათდებოდეს. ფაქტია, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მოქმედმა კანონმა „ვერ იმუშავა“ და სრულყოფასა და დახვეწას მოითხოვს.

მეორე თავის ბოლო ნაწილი საქართველოში ბიზნესის მაკროგარემოს განმსაზღვრელ რეგულაციებს და სავაჭრო რეჟიმებს განიხილავს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ახდენს ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ქონებრივი, ფისკალური, შრომითი და სხვა ურთიერთობების რეგლამენტირებას. ურთიერთიერთობების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგენელი მოიცავს ბიზნეს სტრუქტურების ჩართულობას ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის გამომუშავების პროცესში. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:

მთლიანად ბიზნეს-საქმიანობა;

კერძო საკუთრების ურთიერთობათა რეგულირება, სამეწარმეო კაპიტალისა და შემოსავლების დაბეგრვა, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, ფასწარმოქმნის მექანიზმი;

ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული სახეების ლიცენზირება.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. ამასთან, სამეწარმეო სექტორისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი სახის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღების (გარდა აქციზისა) კონსტიტუციურ აკრძალვას (მუხლი 94), რომლის შესაძლებლობა მხოლოდ რეფერენდუმით დაწესდა.

საქართველოში ბიზნესის დარეგისტრირება მარტივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, რომლისთვისაც მხოლოდ ერთი დღეა საჭირო.

ცხრილი 1.

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-
სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით
(ერთეული, ნაზრდი ჯამით 2008 წლიდან)

	2008	2009	2010	2011	2012
სულ ორგანიზაციულ- სამართლე-ბრივი ფორმების მიხედვით	374440	412856	459077	511177	553692
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება კომანდიტური საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სააქციო საზოგადოება კოოპერატივი უცხოური საწარმოს ფილიალი ინდივიდუალური მეწარმე	2705 178 70646 2159 2474 110 296177	2726 183 78358 2179 2483 131 326796	2739 187 89604 2202 2498 157 361690	2744 188 103543 2251 2521 194 399736	2749 188 118531 2286 2540 288 427110
საკუთრების ფორმების მიხედვით					
არასახელმწიფო კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე უცხოელი კერძო პირი კერძო შერეული სახელმწიფო	372160 368174 1871 2115 2280	410565 406307 2014 2244 2291	456763 451242 2956 2565 2314	508814 501044 4764 3006 2363	551327 539470 8773 3084 2365

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოქმედი საგადასახადო კოდექსით, მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე ვრცელდება სპეციალური - შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები, კერძოდ, მიკრო ბიზნესი არ იბეგრება სამემოსავლო გადასახადით, ხოლო მცირე ბიზნესი სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით. მცირე ბიზნესის

სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. ამასთან, მას ეკრძალება განახორციელოს ცალკეული საქმიანობის სახეები, რომელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. ამავე წესით განისაზღვრება შემოსავლის ის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

ბიზნესის მაკროგარემოს რეგულირებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა საგადასახადო რეჟიმებს და განაკვეთებს ენიჭებათ. ბოლო ათწლეულში საქართველოში მნიშვნელოვნად არის შემცირებული საგადასახადო განაკვეთები (იხ. ცხრ. 2)

ცხრილი 2.

საგადასახადო განაკვეთების ცვლილებები საქართველოში
2005 წლიდან

გადასახადები და განაკვეთები 2005 წლის 1 იანვრამდე	გადასახადები და განაკვეთები 2008 წლის 1 იანვრამდე	გადასახადები და განაკვეთები 2008 წლიდან
საშემოსავლო გადასახადი-12-20%	საშემოსავლო გადასახადი-12%	საშემოსავლო გადასახადი-20%
მოგების გადასახადი-20%	მოგების გადასახადი-20%	მოგების გადასახადი-15%
სოციალური დაზღვევის გადასახადი-31%+1% დღგ-20%	სოციალური გადასახადი-20%	
აქციზი-დიფერენცირებული	აქციზი-დიფერენცირებული	აქციზი - დიფერენცირებული
ქონების გადასახადი-0,1-1%	ქონების გადასახადი-არა უმეტეს 1%	ქონების გადასახადი-არა უმეტეს 1%
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადი-დიფერენცირებული	საბაჟო გადასახადი-დიფერენცირებული	საბაჟო გადასახადი-დიფერენცირებული

გადასახადი ქონების გადაცემისათვის	გაუქმებული	გაუქმებული
გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	გაუქმებული	გაუქმებული
გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის	გაუქმებული	გაუქმებული
გადასახადი საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვითვისთვის - დიფერენცირებული	გაუქმებული	გაუქმებული
ფიქსირებული გადასახადი- დიფერენცირებული	გაუქმებული	გაუქმებული
მცირე ბიზნესის გადასახადი-5%	გაუქმებული	გაუქმებული
ადგილობრივი გადასახადი, რო- მელიც აერთიანებდა 7 გადასახადს- დიფერენცირებული	გაუქმებული	გაუქმებული

საქართველოში მოქმედი ბიზნესისათვის ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვება საჭიროა ისეთი საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ

ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან.

საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან. ექსპორტი საქართველოდან არ იბეგრება დღ-თი.

ქვეყნის კანონმდებლობით, საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისთვის.

შედეგად, საქართველოს აქვს:

- თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი – დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან (2008 წლიდან);
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) – მსო-ის წევრ ქვეყნებთან;
- პრეფერენციული რეჟიმი (GSP) – აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან;
- პრეფერენციული რეჟიმი (GSP+) – ევროკავშირის ქვეყნებთან (7200 სახეობის პროდუქცია 2005 წლიდან).

ამასთან, ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების შესახებ ხელშეკრულება ძალაშია 32 ქვეყანასთან, ხოლო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება 42 ქვეყანასთან.

Doing Business -ის მიხედვით (მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი, რომლის ანგარიშიც ქვეყნდება ყოველწლიურად) საქართველოს რეიტინგი 2014 წელს მე-8 ადგილით განისაზღვრა

189 ქვეყანას შორის (2006 წელს 112-ე ადგილიდან გადაინაცვლა, ანუ გაუმჯობესება 104 ქულით).


ქვეყანაში განხორციელდა 36 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით და გაუმჯობესებული პოზიცია ყველა მაჩვენებელში (იხ. ნახ. 1).

მნიშვნელოვან რეფორმებად ჩაითვალა:

1. ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება;
2. “One-Stop-Shop” & “Silence is Consent” (“ერთი სარკმლის პრინციპი” და “დუმილი თანხმობის ნიშანია”) შეიქმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის;
3. გამარტივებული საგადასახადო კოდექსით 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი;
4. ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დრო და ღირებულება შემცირდა.

ნახაზი 1.

საქართველოს პოზიცია 2006-2014 წლებში



დისერტაციის მესამე თავი „საქართველოში ბიზნესის
მაკროგარემოს სრულყოფის მიმართულებები“ ეთმობა

საქართველოში ბიზნესის განვითარების უახლოესი წარსულის ტენდენციები და თანამედროვე მდგომარეობის წარმოჩენას, ასევე საქართველოში ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების პერსპექტივებისა და პროგნოზების განსაზღვრას.

აღნიშნულია, რომ 1990-ანი წლების პირველ ნახევარში დამოუკიდებელ საქართველოში ბიზნესის განვითარების გზაზე გამოიკვეთა ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორიცაა: ინფლაცია, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და ფასების უმართავი ზრდა; პრობლემები საწარმოთა რეგისტრაციისას; არგადახდები, საგადახდელო დისციპლინის დაცემა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შეკუმშვა იწვევდა ნაღდი ფულის ბრუნვის სწრაფ ზრდას მისთვის დამახასიათებელი უხერხულობებით; მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გრძელი და საშუალოვადიანი კრედიტების მიღების შეუძლებლობა და სხვა. დასახელებულმა მოვლენებმა და ნეგატიურმა ტენდენციებმა საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მძიმე სურათი შექმნეს.

საქსტატის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წარმოების 90%-ზე მეტი საკუთარი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და იგი მოსახლეობის არსებობის მნიშვნელოვანი წყაროა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეოების მთლიან შემოსავლებში მხოლოდ 7%-ია მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მიხედვით ბოლო ადგილზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 8%-ს ოდნავ აჭარბებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საკუთრების უფლების დაცვის პრობლემები პოსტრევოლუციურ საქართველოში. კერძო საკუთრება, საერთო საკუთრებისაგან განსხვავებით, უკვე დიდი ხანია აღიარებულია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად. ეს უფლება დაცულია თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოს კანონმდებლობაში. კერძო საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს უზენაეს

კანონშიც – საქართველოს კონსტიტუციაში.


თუმცა ახლო წარსულში ამ მხრივ საქართველოში მეტად არასახარბიელო ტენდენციები დაფიქსირდა. 2004-2007 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 137,8 მლნ. ლარი, 6 მლნ. აშშ დოლარი და 10 100 ევრო.

Heritage Foundation-ის 2011 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო საკუთრების უფლების დაცვით დგას ისეთი ქვეყნების გვერდით (40 ქულა), როგორიცაა ყაზახეთი, შრი-ლანკა, პაკისტანი, ნეპალი და კამბოჯა.

მივიჩნევთ, რომ ანალოგიური ქმედებები ამ ფორმით დაუშვებელია და მათი განმეორება შეარყევს როგორც ქვეყნის ავტორიტეტს, ისე მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორადაც მოგვევლინება.

აუცილებელია აღინიშნოს იმ პოზიტივების შესახებაც, რაც ბიზნესის განვითარებისა და საინვესტიციო გარემოს სრულყოფის მიმართულებით დაფიქსირდა.

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 8,270,9 მლნდ. აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 2,015.0 მლნ. აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც 69.3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2012 წელს საქართველოში 911,6 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 18.4%-ით ნაკლებია 2011 წლის მონაცემებზე

თანამედროვე პირობებში რეგიონების გამოკვეთილი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამავე თავში გამოვიკვლიეთ საქართველოს რეგიონებში ბიზნეს აქტივობა. რეგიონის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრულ ეკონომიურ ფაქტორს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნეს-სექტორის სტაბილური ფუნქციონირება. სამომავლო პერსპექტივების (სტრატეგიის) განსაზღვრისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია მოხდეს ამ სექტორის ზუსტი დიაგნოსტიკა.

რეგიონის ბიზნეს-აქტივობის შესაფასებლად მიზანშეწონილად

მივიჩნიეთ 6 მაჩვენებლის გამოყენება, რომელთა დამუშავება და ანალიზი მმართველობითი რგოლისათვის სირთულეს არ წარმოადგენს. ეს მაჩვენებლებია: მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა, დასაქმებულთა რიცხოვნობა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში და დამატებული ღირებულება (იხ. ცხრ. 3-4).

იმისათვის, რომ რეგიონში სრულყოფილად დავაკვირდეთ ბიზნეს-სექტორში მიმდინარე პროცესებს, შემოვიღეთ ბიზნეს აქტივობის ინდექსი ($I_{\text{ბ}}$). იგი არა მარტო ამყარებს მაჩვენებლებს შორის კავშირს, არამედ სხვადასხვა რეგიონების მაჩვენებლების შედარების საშუალებასაც იძლევა.

$$I_{\text{ბ}} = E1 + E2 + E3 + E4 + E5 + E6$$

სადაც E_n არის ტერიტორიის ბიზნეს-აქტივობის დონის ზრდის ტემპის განმსაზღვრელი ცალკეული კომპონენტის მაჩვენებლები (მათი რიგითი ნომერი ემთხვევა ჩვენს მიერ შერჩეულ და ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებლებს).

ფორმულიდან ჩანს, რომ ნებისმიერი მდგენელის მაღალი დონე განსაზღვრავს ეფექტიანობის საერთო დონის ზრდის შესაძლებლობას და შესაბამისად, ზრდის ბიზნეს აქტივობის ინდექსს ($I_{\text{ბ}}$).

ბიზნეს აქტივობის შესაფასებლად გაზომვადი კრიტერიუმების შერჩევა საშუალებას გავძლევს არა მარტო შევადაროთ ერთმანეთს ცალკეული რეგიონები, არამედ დავაკვირდეთ ბიზნეს-სექტორში მიმდინარე პროცესებს ნებისმიერ დროით ინტერვალში, მოვახდინოთ დროული დიაგნოსტიკა და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისათვის, რაც ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.

საქართველოში ბიზნესის გარემოს კუთხით უახლოეს წარსულში არსებული ძირითადი პრობლემებიდან აღსანიშნავია: ადგილობრივი წარმოების შევიწროება, იმპორტის ხელშეწყობა-სტიმულირება, სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი წილი

ზიზნეს აქტივობის ინდექსი საქართველოს რეგიონების მიხედვით

ინდიკატორი	იმერეთი	გურია	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	ქვემო ქართლი	კახეთი	შიდა ქართლი
E_1 (ათასი კაცი)	1,01	1,00	1,01	1,02	1,02	0,98	1,03	1,01	1,02
E_2 (ათასი კაცი)	1,24	1,18	1,38	1,38	1,13	0,99	1,18	1,14	0,98
E_3 (მლნ. ლარი)	2,47	1,48	2,68	2,82	1,62	1,57	1,80	2,14	2,42
E_4 (ლარი)	1,55	1,13	1,26	1,50	1,34	1,09	1,38	1,26	1,52
E_5 (მლნ. ლარი)	1,61	5,43	1,23	1,88	3,58	1,1	2,37	3,32	0,67
E_6 (მლნ. ლარი)	2,27	1,31	2,58	3,01	1,55	1,63	1,78	1,96	2,29
I_{Σ}	10,15	11,54	10,15	11,60	10,24	7,35	9,54	10,82	8,89

მშპ-ს ზრდაში, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობა, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის როლის დაკნინება, საბანკო კრედიტების ნაკლები ხელმისაწვდომობა. ბიზნესს ფაქტობრივად არ ჰქონდა სასამართლო წესით გასაჩივრებისა და თავის მართლების საშუალება.

საქართველოში ჩატარებულმა ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა (2012 წ.) დაადასტურა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ცვლილებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, განსაკუთრებით ეკონომიკაში. საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექსპერტებისა და ქართველი მეაწრმეების პოზიცია საერთოა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ზოგადად, ბიზნესის კეთება საქართველოში შედარებით გამარტივებულია. თუმცა დღემდე უამრავი პრობლემა არსებობს, რაც მოგვარებას საჭიროებს.

მართალია საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი ბოლო წლებში მაღალი იყო, თუმცა უმუშევრობის დონეზე მან ვერ იქონია პოზიტიური გავლენა. საკმარისია ითქვას, რომ 2007 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ პიკს – 12,2%-ს მიაღწია, მაგრამ უმუშევრობის დონემ შეადგინა 13,3 პროცენტი, ანუ დაახლოებით იმდენივე, რამდენიც იყო წინა წელს, როდესაც ეკონომიკური ზრდა 9,4 პროცენტს შეადგენდა.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ახალი ორიენტირების ჩამოყალიბებას განაპირობებს სამთავრობო პროგრამის შემდეგი პოზიციები: საბაზრო ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად სისტემურ ტრანსფორმაციაში საკვანძო როლის სახელმწიფოსათვის მინიჭება; ქვეყნის ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება; სამართლიანი საბაზრო გარემოს შექმნა ხელმისაწვდომი მოქნილი და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და ა.შ.

ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2008	2009	2010	2011	2012
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული	374440	412856	459077	511177	553692
ბრუნვა, მლნ. ლარი	19650.7	20302.2	24400.7	36726.2	42048.0
გამომწვეული პროდუქცია, მლნ. ლარი	10248.4	11003.1	13303.7	19239.9	23096.0
დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი	5162.6	5464.1	7603.2	9253.7	11190.7
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	5085.8	5539.0	6600.5	9986.3	11905.3
ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი	9257.1	12025.8	13386.1	15538.7	18625.8
დასაქმებული რაოდენობა, კაცი	349250	387463	397806	503236	534397
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	519.8	538.1	592.7	622.6	714.3

მაკროეკონომიკური ორიენტირების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რისთვისაც უნდა შეიქმნას სტაბილური ინვესტიციური გარემო, ბიზნესი სრულიად გათავისუფლდეს სახელისუფლებო ზეგავლენისაგან და შეიქმნას საკუთრების დაცვის მყარი გარანტიები, გააქტიურდეს მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, აშშ-სთან და სხვა ქვეყნებთან.

საჭიროდ მიგვაჩნია ადგილობრივი ბაზრის დაცვა უცხოური დემპინგური საქონლისაგან, ღონისძიებების გატარება რუსეთის ბაზარზე ქართული აგროსამრეწველო პროდუქციის შეღწევისათვის.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მონეტარულ პოლიტიკას. ამ კუთხით მომავალში გათვალისწინებულ უნდა იქნას ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის გაზრდა და შესაბამისად დოლარიზაციის ღონის შემცირება, აგრეთვე მონეტარული ხელისუფლების გათავისუფლება პოლიტიკური ზეწოლისაგან, კომერციულ ბანკებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრება, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ფისკალურმა პოლიტიკამ, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მომავალში მიჩნეულია არამიზნობრივი სუბიექტის ხარჯების გაუქმება.


ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს მართებული შეფასება შეუძლებელია ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენის გარეშე. ამისათვის მოვახდინეთ ბიზნესის ფუნქციონირების კომპლექსური შეფასება.

შეფასების სიზუსტის მიზნით გამოვიყენეთ ინდექსის შერჩევის მეთოდი (გამოვთვალეთ ბიზნესის განვითარების ინდექსები (I_p)). იგი საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად და

ეფექტიანად შევაფასოთ ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2004 წლიდან, რამაც ცხრაწლიანი პერიოდისათვის (2004–2012 წლები) მოგვცა ინდექსების განსაზღვრის და ტენდენციების გამოვლენის საშუალება (იხ. ნახ. 3).

ნახაზი 3.



ბიზნესის ხელშემწყობ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში გადამწყვეტად მიგვაჩნია დიფერენცირებული საგადასახადო რეჟიმების გამოყენება. კერძოდ, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში შესაძლოა განსხვავებული ფიქსირებული გადასახადების დაწესება, მათი პოტენციალიდან და განვითარების არსებული დონიდან გამომდინარე.

ბიზნესგარემოს შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მიმზიდველობა უცხოელი ინვესტორებისათვის. მსხვილი ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტაბილურობის უზრუნველყოფა. რამდენად დაბალიც უნდა იყოს გადასახადების განაკვეთი, თუ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო, შეუძლებელი იქნება განვითარებული და მიმზიდველი გარემოს ჩა-

მოყალიბება. ბოლო წლების გამოკვლევების შესწავლამ ცხადყო, რომ ქართული ბიზნეს გარემოსათვის ყველაზე „პოპულარული პრობლემებია“ რთულად აღსაქმელი კანონმდებლობა, ორაზროვანი ჩანაწერები და კანონების ხშირი ცვალებადობა. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ უფრო მეტად უნდა აღმოუჩინოს მიზნობრივი მხარდაჭერა ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ მთავარ დარგებს - სოფლის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, ვაჭრობას და ტურიზმს. საჭიროა ინვესტიციური ფონდების დროულად ამოქმედება, სახელმწიფო ინვესტიციური ბანკის შექმნა, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარება, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და რეფორმების განვითარებაში უფრო მეტი სისწრაფე და გაბედულობა.

ძირითადი შედეგები და ზოგადი დასკვნები. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი დასკვნების და მეცნიერული მიღწევების წარმოდგენის საშუალება მოგვცა:

1. მიუხედავად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნესკლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წარმატებით მიღწევისათვის აუცილებელია გამართული დიალოგის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის;

2. პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროცესში ვერ იქნა შემუშავებული ეკონომიკის ისეთი მოდელი, რომელიც ქვეყნის წარმატებას და სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფდა. ”ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში ავტორიტატულმა სტილმა და გაუაზრებელმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ქვეყანაში რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შექმნეს.

3. ქართული ბაზრის ერთ-ერთი „მტკივნეული მხარეა“ მონოპოლისტური სტრუქტურების არსებობა და მისი შეზღუდვის წინააღმდეგ ქმედითი ბერკეტების არარსებობა. ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით,

საჭიროა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს თავისუფალი საბაზრო პრინციპების გაზრდას და ოლიგოპოლისტური ფასების შემცირებას.

4. არაწონასწორადი მდგომარეობები ფულად, საკრედიტო და სავალუტო ბაზრებზე ქართული ბიზნესის მხოლოდ ცალკეული სექტორებისათვის ქმნიან უპირატესობებს და ამავდროულად არცთუ საიმედო და მიმზიდველ პირობებს ეკონომიკური განვითარებისათვის.

5. ბიზნესგარემოს შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მიმზიდველობა უცხოელი ინვესტორებისათვის. მსხვილი ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტაბილურობის უზრუნველყოფა. ქვეყანაში უნდა არსებობდეს სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო.

6. ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ მონიჭებული განზოგადოებული პრეფერენციების გაფართოებული სისტემის (GSP+) უფრო სრულად გამოყენება, რამდენადაც იგი ითვალისწინებს საქართველოს ექსპორტის თითქმის უტარიფო დაშვებას ევროკავშირის ბაზარზე.

7. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მართივად აღქმის უზრუნველყოფა. საჭიროა საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების მეტი დახვეწა-გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

8. მიგვაჩნია, რომ საჭიროა დაწესდეს შეზღუდვა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. უნდა აიკრძალოს მიმდინარე საქმიანობის შეჩერება და დაყადაღება, ზოგადად კი უნდა განხორციელდეს საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია. დასაზუსტებელია შემთხვევები, როცა საგადასახადო ორგანომ გადამხდელის შემოწმებისას შეიძლება არაპირდაპირი მეთოდები გამოიყენოს.

9. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში შესაძლებლად მიგვაჩნია განსხვავებული ფიქსირებული გადასახადების დაწესება, მათი პო-

ტენციალიდან და განვითარების არსებული დონიდან გამომდინარე.

10. საჭიროა შესწავლილ იქნას უცხოური პრაქტიკის გამოცდილება და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით შეიქმნას კომერციული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული, დამოუკიდებელი და სამართლიანი მექანიზმი.

11. ბიზნეს სექტორის, განსაკუთრებით დამწყები ბიზნესის დასახმარებლად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლებას, ფინანსურ რესურსების ხელმისაწვდომობას, საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებას.

12. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სესხის აღების პირობები მნიშვნელოვნად უნდა გამარტივდეს. დღესდღეობით კრედიტის აღებისათვის ძირითადად უძრავი ქონების გარანტიაა საჭირო. მეტად გართულებულია დამწყები კომპანიის დაფინანსების პრეცედენტები.

13. ქართული ბიზნესსექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაბალი მეწარმეობრივი უნარებია. ძალიან უჭირთ განვითარება მიკრო და მცირე ბიზნესს, ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ამონაგები თანხის რეინვესტირების პრაქტიკის თითქმის არარსებობა.

14. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკის ფარდობითი უპირატესობიდან გამომდინარე, ეფექტიანად შეიძლება მივიჩნიოთ ტრანსპორტირება (უპირველესად ენერგეტიკული რესურსებისა), სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა და ტურიზმი, სწორედ დასახელებულმა სექტორებმა უნდა განაპირობონ ეკონომიკური ზრდა.

15. საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-სექტორის განვითარების დიაგნოსტიკის საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ შერჩეული ბიზნეს აქტივობის ინდექსი არა მარტო ამყარებს მაჩვენებლებს შორის კავშირს, არამედ სხვადასხვა რეგიონების მაჩვენებლების შედარების საშუალებასაც იძლევა. კერძოდ, რაც უფრო მაღალია ($I_{\text{ს}}$), მით უფრო მნიშვნელოვანი პოზიტიური

ცვლილება ფიქსირდება კონკრეტულ რეგიონში.

16. ბიზნეს აქტივობის შესაფასებლად გაზომვადი კრიტერიუმების შერჩევა საშუალებას გავძლევს არა მარტო შევადაროთ ერთმანეთს ცალკეული რეგიონები, არამედ დავაკვირდეთ ბიზნეს-სექტორში მიმდინარე პროცესებს ნებისმიერ დროით ინტერვალში, მოვახდინოთ დროული დიაგნოსტიკა და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისათვის, რაც ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.

17. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს და ბიზნესის ფუნქციონირების კომპლექსური შეფასებისათვის გამოვიყენეთ ინდექსის შერჩევის მეთოდი. ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2004-2012 წლებში ძნელია რაიმე ეტაპების გამოყოფა, თუმცა ყველაზე სტაბილურად მაინც 2007 წელი იკვეთება, როცა 2004 წლის შემდეგ ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სათანადო შედეგები მოგვცა. თუმცა, შემდგომ წლებში არათანმიმდევრულობა ფიქსირდება.

18. მიგვაჩნია, რომ თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას განვითარების ელემენტები, სახსრები მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. აღნიშნული თანხების გასანაწილებლად შესაძლებელია 2 მეთოდის გამოყენება: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მცირე ბიზნესის განვითარებისათვის სესხებზე ბანკების წინაშე თავდებობის წესისა და/ან მცირე ბიზნესის განვითარებისათვის რიგი მუნიციპალური დაქვემდებარების ობიექტების პროგრამების საფუძველზე შეღავათიანი პირობების ჩამოყალიბება.

19. საქართველოში 2004 წლიდან ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდა, მაგრამ შემოსული ინვესტიციები ძირითადად მიმართულ იქნა უძრავი ქონებისაკენ და არა წარმოების რეანიმაციისა და გაჯანსაღების მიზნით. შეიქმნა ილუზია, რომ ქვეყანაში გაჩნდა ფული, დამღეული იქნა სიღარიბე. შემოსული თანხების მეორე ნაწილი გამოიყენებოდა ბანკების მიერ კრედიტების გასაცემად და ისევ და ისევ უცხოური საქონლის (ძირითადად საოჯახო და სხვა

ტიპის ტექნიკის) შესაძენად. ბუნებრივია, ინვესტიციების შემოდინებამ ამ პირობებში ვერ უზრუნველყო ბიზნესის წახალისება ან ზრდის ხელშეწყობა.

20. პოზიტიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ბიზნესზე პოლიტიკური ზეწოლა არ განხორციელებულა. ბიზნესს პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლების საშუალება მიეცა.

21. მიგვაჩნია, რომ უახლოეს პერიოდში გადასაწყვეტია ბიზნესისათვის წართმეული ქონების სტატუსის საკითხი, რასაც ხელი სამართლიანობის აღდგენის პროცესის შეფერხებამ შეუშალა.

22. საჭიროა ინვესტიციური ფონდების დროულად ამოქმედება, სახელმწიფო ინვესტიციური ბანკის შექმნა, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარება, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და რეფორმების განვითარებაში უფრო მეტი სისწრაფე და გაბედულობა.

23. სამწუხაროდ, ქვეყანას არ გააჩნია ბიზნესგარემოს გაჯანსაღებისა და რეგულირების სტრატეგია, რაც მოგვცემს საშუალებას, მინიმუმამდე დავიყვანოთ შესაძლო შეცდომები. სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკა და ქართული ბიზნესგარემოს ეროვნული თავისებურებები.

დისერტაციასთან დაკავშირებული მთავარი პუბლიკაციები და სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებზე დისერტაციის თემაზე წაკითხული მოხსენებების ნუსხა:

ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ გამოცემებში:

1. „საქართველოში ბიზნესის განვითარების ტენდენციების შეფასების საკითხისათვის“. ჟურნ. „ეკონომიკური პროფილი“, #13, 2013. გვ. 52-56.

2. ПЕРСПЕКТИВЫ УЛУЧШЕНИЯ МАКРОЭКОНОМИЧЕСКОЙ СРЕДЫ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ БИЗНЕСА В ГРУЗИИ И

ОБЗОР ПРОГНОЗОВ. журн. «Актуальные проблемы экономики, социологии и права», №1, 2014. 83. 95-100.

3. REGULATIONS DEFINING BUSINESS MACRO-ENVIRONMENT IN GEORGIA. Scientific Practical Conference „Współczesna nauka. Nowe perspektywy“. Bydgoszcz, 30.01 - 31.01.2014. „Zbior raportow naukowych. pp. 74-78.

http://конференция.com.ua/files/image/scientific_conference_25/zbornik_nauchnih_dokladov_25_2-2.pdf

Kutaisi University

Ia Tetrushvili

**Macroeconomic Environment of Business and
the Main Lines of its Improving in Georgia**

The Author's Abstract
of the Doctoral Thesis Nominated for Ph Doctor Degree
in Economics

Special Subject – 0701 Economics

Kutaisi
2014

The given work is executed at the Department of Economics of the Faculty of Social Sciences at the Kutaisi University.

Scientific Advisor - **Nikoloz Chikhladze**,
Doctor of Economics, Doctor of Theology, Professor

Official reviewers: _____

(Name, Surname, Academic degree)

Defense of a thesis will be held _____
(date and time)

at the session of the Dissertation Commission created by Dissertation Council of the Faculty of Social Sciences. Address: Conference Hall (1st floor), 13 Tsereteli Street, 4600, Kutaisi

Dissertation is available in the library of Kutaisi University at the address: 13 Tsereteli Street, 4600, Kutaisi

The Author's Abstract has been sent out "____" June
(date)

Dissertation Council

Secretary _____ /**N. Kutivadze**, Professor/

Topicality of Research. The course of the history of humanity convinces us that existence of the society is impossible without material production, doing something, creating, constructing and progress. The notions of “doing”, “creating” and “producing” literally are identical, and all them are associated with business. So, any kind of activity is associated with business as well.

It is obvious that business cannot be developed without creating proper business environment. Business environment implies combining of various conditions (factors), which impact on the lines of development of business, as well as on its paces and scales. Manufacturing entities of any profile must work in a specified environment.

Business development is a significant factor for economic and social development of any country. Considering and solving of political, socioeconomic, demographic and other issues of national standing require taking into account of all specific features, in which a peculiar place is held by the extent of the influence of business environment factors and business development level.

